ნატო სონღულაშვილი

ისტორიის დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

რაფიელ ერისთავი და ქართული საგანმანათლებლო სფერო (XIX საუკუნის II ნახევარი)

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაელახა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობს ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდებიან ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საფუძველი ეყრება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები გააჩნდათ. ეს არის ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი, რომელიც გახდა საფუძველი 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა

პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ეს პროცესი გრძელდება 1918-1921 წლებში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რა ფორმით ვითარდებოდა ეროვნული იდეა? როგორ მოიაზრებოდა განათლების პროცესი XIX საუკუნის II ნახევარში?

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი – მეფე აღარ არსებობდა, გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხაზგასასმელია, რომ ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელოება. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო გახდა ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას.

სკოლა გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვებს უყენებდა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს: 1. რა როლი ჰქონდა და რა მეთოდებით მოითხოვდა ქართული კულტურული ელიტა ქართულ ენაზე წარმოებულ განათლებას. 2. რა ფორმით უნდა მომხდარიყო სკოლების საშუალებით ეკონომიკური, სამეურნეო განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლება და თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა.

ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სისტემაში. ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტობრივად გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. შეეზღუდა გლეხებს ფუნქციები, განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდა. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ძლიერ ძალას წარმოადგენდა ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის მომავლით, პროლეტარიატი კი საწყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო გახდა მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდა ქართველობა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და მათი მთავარი მიზანი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ლოზუნგის: „მამული, ენა სარწმუნოება“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ეს არის იდეა, რომელიც, ფაქტობრივად მთლიანად გასდევს XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილის, კულტურული და პოლიტიკური ელიტის ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის მოსახლეობის ფართო ფენებში და ეროვნული თავისუფლებისათვის. დავიწყებ იმით, რომ ილიას მიერ ერთიან ლოზუნგად

დამკვიდრებული „მამული, ენა, სარწმუნოება“, საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა ეტაპზე ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დღის წესრიგში იდგა ყოველთვის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე მათგანი წინა პლანზე იყო წამოწეული და განმსაზღვრელ როლს თამაშობდა.

განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამათუიმ საუკუნეში ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსების და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ გაზრდას და რაც მთავარია მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისათვის. განათლების გავრცელების საშუალებებს და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული 1918 წლამდე მაქსიმალურად ცდილობენ ქართული პოლიტიკური და კულტურული

ელიტის წარმომადგენლები, დამოუკიდებლობის არქონის, რუსიფიკაციის პირობებში ქართული საზოგადოების ეროვნულ ფორმებში მოქცევას განათლების მეშვეობით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თერგდალეულების მუშაობა ეროვნული თემატიკის აქტუალიზებაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული მმართველობის პირობებში შეზღუდული იყო საგანმანათლებლო სისტემის გააქტიურებაზე ზრუნვის აფიშირება და ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიზანმიმართულად ზრუნავდა ამ პრობლემის მოგვარებაგანვითარებაზე უფლებაშეკვეცილი იყო.

განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწევა უკავშირდება ეპოქის მოთხოვნილებას. გარდა იმისა, რომ ქართველი ნაციონალისტების მიზანი იყო წიგნიერი თაობის აღზრდა, ეს ისტორიული აუცილებლობიდანაც გამომდინარეობდა. XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის პირველი ოცწლეული არის დრო, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იწყება ახალი გარდაქმნები, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც. განათლებული საზოგადოების საჭიროება ახალმა პოლიტიკურმა წყობამაც მოითხოვა. კაპიტალისტურმა წყობამ მთლიანად შეცვალა არსებული სიტუაცია. მოდერნულ ეპოქაში განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი თალსაჩინო და მნიშვნელოვანი მოღვაწეა რაფიელ ერისთავი. მართალია მისი პიროვნების და მოღვაწეობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გვხვდება გარკვეული გამოკვლევები, თუმცა რაფიელ ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან გამომდინარე აქტუალური და აუცილებელია ნაკლებად შესწავლილი პრობლემების გაშუქება და ანალიზი. რაფიელ ერისთავის მოღვაწოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგანმანათლებლო საკითხების პრობლემატიკას. რასაც მან თავისი მოღვაწეობის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი მიუძღვნა. მისი მოღვაწეობა შეეხებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, თუ სოციალ-ეკონომიკური, კულტურული

თუ რელიგიური სფეროს თითქმის ყველა მიმართულებას, მისი თვალსაწიერის მიღმა არც საგანმანათლებლო საკითხი დარჩენილა და ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია შემორჩენილი, რომელიც გარდა იმისა, რომ ეპოქას თვალსაჩინოდ წარმოადგენს, რაფიელ ერისთვის მრავალმხრივი ნააზრევის შესახებაც სრულ სურათს გვიქმნის.

საინტერესოა, რაფიელ ერისთავის მიმართვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვებისა და დაცვის შესახებ. „ჩვენს საზოგადოებას დღეს აქვს კარგა საკმაოდ შეძენილის სხვადასხვა გვარი ქართული წიგნები. ზოგი შემოწირულობები სხვადასხვა პირთაგან, ზოგი ნასყიდები, მაგრამ... ჩვენი სურვილია, რომ კიდევაც შევიძინოთ ქართული ძველი წიგნები, რომელნიცა მთელს საქართველოში არიან დაფანტულნი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ოჯახებში. ესეცა უეჭველია, რომ იმ წიგნებში იქნება ისეთი იშვიათებიც იყოს, რომ მათი ბადალი მეორე სხვაგან აღარ იპოებოდეს და არც ეს იქნება უეჭო, რომ იმ წიგნებთაგანი, თუ შეინახებოდენ აქნობამდის ქართულის ლიტერატურის მოყვარულთ პირთაგან, დღეს მათი მემკვიდრენი, რომელნიც განვითარდნენ სხვადასხვა ენებში და ქართულზედ აიცრუეს გული, სამუდამოდ დაკარგონ ის წიგნები დაუდევრობით, რომლის მაგალითი გვიჩვენებს ხოლმე მეხილის და მეთევზის დუქნები, სადაც მოსამსახურენი ხშირად გაყიდიან ხოლმე ძველს ქართულს წიგნებს...

ამისთვის ვგონებ:

1. შესდგეს სია ყოველი წიგნისა, რომლებიც დღს გვაქვს.
2. გაუკეთდეს მათ რიგიანი ყდები.
3. გაუკეთდეს საცავი განჯინები.
4. გაკეთდეს სტოლები, რომ კითხვის მსურველთ მოთხოვონ წიგნები და ზედ იკითხონ და გამოიწერონ მათთვის სასურველი ცნობანი.
5. შესდგეს სია ყოველგვარი ქართული წიგნისთა, რომელთა სახელწოდება ან გაგვიგონია, ან აღმოგვიკითხავს სადმე, რომ სახეში გვქონდეს ყველას დასაძებნათ.

6. გამოუცხადეს გაზეთში ვინ და რაოდენნი წიგნი შემოსწირა.
7. მივმართოთ წერილებით სხვადასხვა ოჯახიშვილებს, საცა გვეგულება ქართული წიგნები.

ვსთხოვოთ: ან შემოსწირონ ჩვენს საზოგადოებას ესე გვარნი, ან გვათხოვონ იშვიათნი მათგანნი გადასაწერათ. გარდა ამისა, შეიძლება გაზეთითაც მივმართოთ საზოგადოებას ამგვარივე თხოვნით.

სია ოჯახებისა, სადაც მეგულება ქართული წიგნები:

1. უგანათლებულესი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი
2. გრიგოლ ლევანის ძე დადიანი
3. თავადი პეტრე ნიკოლოზის ძე დადიანი
4. გიორგი „_____"
5. ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი
6. კნეინა ნატალია ალმასხანის ასული ერისთავისა
7. დავით ციციშვილის მემკვიდრეები
8. კნეინა ანნა ივანეს ასული ერისთავისა
9. თავადი გიორგი გიორგის ძე ერისთავი
10. თ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი
11. ვახტანგ „_____"
12. დავით ქობულოვი
13. დავით ჩუბინოვი
14. ბროსსეს შვილები
15. ნიკოლოზ ივანეს ძე ერისთავი
16. ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი
17. კონსტანტინე ივანეს ძე „_____"
18. გივი ნიკოლოზის ძე „_____"
19. კნეინა ქეთევან სუმბათოვისა, მემკვიდრე ივანე გრუზინსკისა
20. დავით ზაალის ძე ბარნოვი [1, 1-3].

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივია, იმდენად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თითქმის ყველა სფეროს ეხება, საჭირო და აუცილებელია მისი შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზი. ამჯერად, სტატიაში მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობის შეფასებაა მნიშვნელოვანი ამოცანა

და არსებული დოკუმენტები ნათლად მოწმობს მის აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. აგრეთვე საინტერესოა, რაფიელ ერისთავის მიმართვები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისადმი სასკოლო სასწავლებლებისათვის წიგნების დარიგების თაობაზე. „ჩვენმა მმართველობამ შეიძინა ნახევარ ფასით სხვადასხვაგვარი ახლად დაბეჭდილი წიგნები. გრ. ჩარკვიანისაგან 142 მანეთის და 50 კაპიკის. – 1650 წიგნი და ზაქარია ჭიჭინაძისაგან 145 მანეთის 1600 წიგნი. გარდა ამისა ზოგი შემოწირულებიცა გვაქვს. ეს წიგნები აწყვია დღეს უქმათ. მე ვფიქრობ ამ წიგნების რიცხვთაგან უნდა იყოს ჩვენის ბიბლიოთეკისათვის ორ-ორი მათგანი, თვითეულთაგან და დანარჩენი გაიგზავნოს ორივე ღუბერნიის სასოფლო სასწავლებლებში: თვითოეული მათის ბიბლიოთეკისათვის, სასწავლებლებისათვის და სხვები მოსწავლეების დასაჯილდოებლად.

წარმოვადგენ ამასთანავე ჩემგნით შედგენილს სასწავლებლებში მოწაფეთათვის საკითხავს წიგნს, შემდეგ „ან-ბანისა“. ეს წიგნი არის ქრესტომათიის სამაგიერო და ეწოდების „სკა“. თუ მმართველობა დაინახავს, რომ „სკა“ სასარგებლო წიგნად ჩაითვლება იმ შემთხვევაში ვსთოხვ მას აღმოგვიჩინოს შემწეობა ფულით, რაოდენიცა ამ წიგნის დაბეჭდვას დასჭირდება [2, 1-2].

1879 წლის 17 სექტემბერს ქ. შ. წ. კ . გ. საზოგადოების გამგეობა ნ. ცხვედაძის ხელმოწერით რაფიელ ერისთავს სთხოვს წავიდეს სიღნაღის და თელავის მაზრებში სკოლების გასახსნელად და საჭირო ღონისძიებებს ჩასატარებლად. „წიგნის ცოდნის საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ შრომა და წაბრძანდეთ სიღნაღის და თელავის მაზრებში და მაზრის უფროსების შემწეობით მოახდინოთ სოფლებში ყრილობა, რომელზედაც სოფლის საზოგადოებას დაადგენინოთ განჩინება შკოლის გახსნაზე თანახმათ ამასთანავე წარმომგზავნელის განჩინების ნიმუშისა.

გამგეობა გთხოვთ იქონიოთ სახეში, რომ სოფლის საზოგადოებამ, სადაც უნდა გაიხსნას შკოლა, შკოლის შესანახავათ უნდა გამოყოს არანაკლებ 350 მანეთისა.

გამგეობის აზრით ამდენი ფულის გამოღებას შესძლებენ სიღნა-

ღის მაზრაში ველისციხე, მუკუზანი და თელავისაში: ახმეტა, ხოდა-შენი, კურდღელაური, ვაჩნაძიანი და სხვანი, რომელნიც შეძლებენ განჩინების სანიმუშო ნახსენებ პირობების ასრულებას.

სასურველია, თუ ნახსენებ ფულზე მეტს გამოაღებინებთ, ხომ უფრო კარგი იქნება სასწავლებლისათვის“ [3, 1].

1879 წელს აპრილში რაფიელ ერისთავისადმი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიმართვა საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე. „მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათა შორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დაწესებული წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისათვის გთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15 მაისს, დღის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა ბანაკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრათ გახდომას“ [4, 1].

რაფიელ ერისთავის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განათლების გავრცელება საქართველოს ყველა მხარეში და საზოგადოების საგანმანათლებლო დონის ამაღლება. „უეჭველია, რომ მანამ სანამ წერა-კითხვას შემოიღებდნენ ქართველები, თვისის საკმაოდ გამდიდრებულის ერისათვის, ისინი ყოველს მოვლენას, ყოველს საჩინო აუცილებლობას, შემთხვევას, ისტორიულს ფაქტებს, ზეპირ გადასცემდნენ თავიანთ შთამომავალთ, როგორითაც დღეს ვხედავთ ველურს ხალხებში, ანუ ჩვენი მთის ხალხში: სვანებში, მთიულ-მოხევეებში, ფშავ-ხევსურებში... ამ ხალხში ჯერ ან-ბანს, ქაღალდისა და კალამს ფესვი არ გაუდგამს“ [5, 30].

1887 წლის 19 იანვარი, ჩანაწერი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის შესახებ. „ყველას მოეხსენება რა საჭირო და სახმარ წიგნად ითვლება საზოგადოდ ლექსიკონი. ჩვენ არ გვაქვს რუსულ-

ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი". იგი აღწერს დავით ჩუბინაშვილის შედგენილი ლექსიკონის მნიშვნელობას, რომელიც 1840 წელს ქართულ-რუსული და 1886 წელს რუსულ-ქართული გამოვიდა და შემდეგში გამოცემის აუცილებლობაზე საუბრობს.

„ჩუბინოვმა თავის ლექსიკონების შედგენას მრავალი წელიწადი და დიდი შრომა მოახმარა, ბევრი ჯანი, ოფლი და თვალის სინათლე, რისთვისაც ღირსია მადლობისა, ვიცით, რომ ერისა და იმავე საგანს თბილისის და ქუთაისის ღუბერნიების სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდება აქვს ქართულად... არის იმისთანა საგნებიცა, რომლების სახელწოდებაც ერთს კუთხეში არსებობს, მეორეში არა" [6, 1].

„ზოგიერთნი პირნი უმეცრებით, თუ სხვა მიზეზებით მეცადინეობენ და შემოაქვთ ქართულს ენაში სხვადასხვა ენებიდგან, ვითომც იმათ სანაცვლოდ ახალ-ახალი ლექსები.

ჩემის აზრით უმჯობესია ისევ ჩვენი სიტყვები აღვადგინოთ, ვიდრე სხვებისგან სესხობა და თუ აღარ ვიცით ძველი ქართული ენა, – გავიცნოთ და გავაცოცხლოთ. შესწავლა ხომ ძველ სიტყვებსაც დასჭირდებათ და ნასესხებთაც; და თუ ვინიცობაა, ჩვენს ენაში აღარ მოიძებნა სამაგიერო ლექსები, მაშინ ჩვენც ვისესხოთ ისინი. ამ შემთხვევაში ვეღარც ჩვენ ვითაკილებთ სესხებს, რადგან ჩვენზედ უფრო განათლებულნი და დაწინაურებულნი, არ იუცხოებენ ხოლმე ახლად მოგონილს სიტყვის მიღებას" [5, 29].

მნიშვნელოვანია სხვა წერილებთან ერთად, ნიკოლოზ ერისთავის წერილი რ. ერისთავისადმი, სადაც თხოვს დაეხმაროს „მნათობის" გავრცელებაში. „თუმცა თქვენი პირისპირ ცნობა არა მაქვს, მაგრამ რადგან მრავალთაგან მსმენია თქვენი ნამდვილი ქართველობა და ქართული ლიტერატურისადმი დიდი თანამგრძნობელობა, ამიტომ არა ვრაცხავ ჩემის მხრივ კადნიერებად მოგახსენოთ რამე იმ საგანზედ, რომელსაც თქვენ თანაუგრძნობთ და რომელიც ყოველთვის მოელის თქვენგან დახმარებას. ეს არის ჩვენი დავრდომილი ლიტერატურა.

ხომ მოგეხსენებათ კნიაზო, რა ცუდად და უფერულ მდგომარე-

ობაშია ეხლა საზოგადოდ ქართული ლიტერატურა და კერძოობ-ითი-დროგამოშვებით გამოცემები. ამასთან, უეჭველია, უწყით, თუ მის მოწაფეებს რა ხშირად ჩაუვლიათ ხოლმე ფუჭად მთელი თვე-ებისა და ბევრჯელ წლიანი შრომა; ეს კიდევ არაფერი, ბევრჯერ ისეცა მოხდება ხოლმე, რომ იარაღიც ბევრი მიეცემათ, იმ მიზე-ზით, რომ მისი გამოცემული ვერა ჰპოვებს მომხმარებელს და რჩე-ბა დაუსყიდავი. ეს გარემოება ბადებს ჩვენი ლიტერატურის თით-ქმის ერთ ალაგას დგომას და მასთანვე შინაარსის უფერულობასაც. ხომ მოგეხსენებათ, რა ნაწარმოებსაც მომხმარებელი არ ჰყავს, ის ნაწარმოები არა თუ ვერ შევა წარმატებაში, არამედ თავის პირველ ღირსებასაც დაკარგავს და მოისპობა. თუ ჩვენი ლიტერატურა სრუ-ლებით არ ემხობა – ეს უმეტესად წარმოსდგება ზოგიერთ კერძო პირთათვის შეწირვისაგან, და არა საზოგადოების თანაგრძნობისა-გან, რომელსაც თავის დამამცირებელი მოქცევა და ფუნქცია ათას-ჯერ უკეთესად მიაჩნია, ვიდრე „რაღაცა ქართული ლიტერატურა“.

ამ გარემოებაში, რაღა თქმა უნდა, რომ ქართული ლიტერა-ტურას არაფერი კარგი გამავრცელებლი არა ჰყავდეს. მეტადრე დროგამოშვებითს გამოცემას ეჭიროს საქმე, თუ თავიანთ ნაცნო-ბობაში. ეს გარემოება ბევრს შველის ამჟამად დროგამოშვებით გა-მოცემებს“ [7, 1].

იოსებ და კიაზო ერისთავების წერილი რაფიელ ერისთავისადმი მამულის ყიდვის შესახებ 1867 წლის 29 მარტს. „ძმა რაფიელ! მე და კიაზო ჩამოვედით ქალაქს ამ თვის ოცდაორს და აი რისთვის, პირველი ნავთობის საქმისათვის, რომელიც გამოჩნდა ჩვენს ტყე-ში ათას ადგილას. სხვასაცა გამოაჩენენ ესენი ჩვენ გავამხანაგდით სანახევროთ ამათ მუშები და მანქანები დაიჭირეს და სხვადასხვა გამართულობა სულ ეჯდება ორასი მანეთი ფული და უნდა ჩავაბა-როთ ჩვენ წილად ასი თუმანი. ასე არის ნავთის საქმე [8, 1].

ივანე კერესელიძის წერილი რაფიელ ერისთავისადმი, სთხოვს მონაწილეობა მიიღოს „ცისკრის“ გავრცელებაში. „ცისკრის რე-დაქცია, წარმოგზავნის რა ამასთანავე განაცხადებს და ხელის მომწერთა სიას, უმორჩილესად ითხოვს, მიიღოთ მონაწილეობა ამ

საზოგადოდ სასრგებლო საქმეში, – მოუპოვოთ ხელის მომწერთ, რომელზედაც დამოკიდებულია უკეთ და წარმატებით გამოიცემა სამშობლოს ლიტერატურის და, რომლით დაავალებთ თქვენის შემწეობის მოცემით არა ერთ ოდენ რედაქციას, რომელიც ზრუნავს ქართულის სიტყვიერების გავრცელებისათვის, არამედ თვთ შთამომავლობასაცა, უკეთუ მიიღებთ რედაქციას თხოვნის, უპატივცემულესად გთხოვთ ხელის მომწერთა ფული და სია წარმოგზავნოთ რედაქციაში, რომლითაცა ვალდებულ ყოფთ უმორჩილეს მონას და მოსამსახურესაც“ [8, 1].

როგორც აღვნიშნე, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა მრავალხმრივი და მრავალფეროვანია. მაგალითად, ერთ-ერთი შესასწავლი პრობლემა მისი დამოკიდებულება იგავ-არაკებისადმი, მოტანილი დოკუმენტი მოწმობს მისი აზროვნების თვალსაწიერს, თუმცა, თავისთავად ეს მიმართულება უფრო სიღმისეულადაა შესასწავლი. „მე გამოვკრიბე თხუთმეტი რჩეული იგავ-არაკი საბა ორბელიანისაგან შედგენილის „სიბრძნე სიცრუისაგან“ და გავლექსე იმ განძრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიმოდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა...“ [9, 1].

„მნიშვნელობა იგავ-არაკისა არის – დევნა ბოროტ-მოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდის და უსაქციელო ზნეობისა.

ქართულს ლიტერატურას აკლია ამგვარი იგავ-არაკები.

მქონდა რა სახეში განსვენებულის კრილოვისაგან შეკრებილნი საუკეთესო იგავარაკები ეზოპოსი, ლაფონტენისა და სხვათა ფილოსოფოსთა ჩინებულათ გალექსილნი მისგან რუსულ ენაზედ, აგრეთვე მრავალნი, ესე გვარნი, მისგანვე შეთხზულნი, – ვისარგებლე ამით და გამკვრიბე მათგან ორმოცი, ასეთი, რომლებიც უფრო დაუახლოვდებოდნენ ჩვენის ხალხის ნაკლულოვანობის სურათებს, და უფრო გამოიხატებოდნენ ქართულს ენაზედ მჭევრათ და მდაბიოდ. ზოგი მათგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე, ყველა კი გავლექსე... იმ განზრახვით რომ სიყმაწვილითგანვე, შეისწავლონ და გაითავისნო ადვილათ, მიმოხვრა ქართულის ენისა, დაიმახსოვ-

რონ მნიშვნელობა იგავ-არაკებისა და დაინერგონ გულში, თუ ვითარ სასაცილოა ადამიანში საკიცხავი ნაკლულევანება და მრუდი და უსაქციელო ზნეობა, ან, ვითარ საზიზღარია ბოროტული მოქმედება, ბოროტისავე და უხასიათო კაცისა" [10, 4].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სხვადასხვა საკითხების აქტუალიზებასთან ერთად ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის მთავარი მიზანი ეროვნული იდეის განვითარება და აღორძინება იყო. ამ კუთხით საგანმანათლებლო სისტემის დატვირთვა ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება. რაფიელ ერისთავი, თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის პარალელურად ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომელიც ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაზე იყო ორიენტირებული. „დიახ ქართული ენა მდიდარია. მეთორმეტე საუკუნეშე რომ ქართული ლიტერატურა იდგა მაღალს ხარისხზედ, ამას გვიმტკიცებენ მაშინდელი თხზულებანი: სამღვთო თუ საერო წიგნები, გალექსილნი და პროზად დაწერილნი.

მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდის ქართული ლიტერატურა კიდე გვარიანად მიდიოდა. ქართველებს ჰქონდათ: ფიზიკაც, გეომეტრიაც, ლოღიკაც, ესთეტიკა, თეორეთიკა, რეთორიკა, საფილოსოფიო წიგნებიც და თარგმანიც თითქმის ყველა კლასიკებისა.

მაშინდელნი ქართული თხზულებანი რომ შევადაროთ იმავე დროს ევროპიულის ლიტერატურის ნაწარმოებებს, მე მგონია, რომ მრავალზედ უკეთესნი თუ არ აღმოჩნდებიან პირველნი, უკან მაინც არ ჩამორჩებიან უკანასკნელებს. მაგრამ რა ექნა იმისთანა ქვეყანას და ხალხს, რომელსაც გარს ეხვივნენ მტერნი რჯულისა და მამულისა, და სდევნიდნენ ისე დაუცხრო, როგორათაც არც ერთს ევროპიის სამეფოს ხალხს არ დაჰმართვია, და ისე გამუდმებით, რომ თითქმის წელიწადი არ გაივლიდა, რომ საქართველო არ შეევიწროებინათ ურჯულოსთა, მძლავრი აოხრებაც ხომ მრავალჯერ უწვნევიათ საწყალობელ ქართველებს, როგორც ჩინგიზ ხანის დროს (1259წ.), ისე თამერლანისა ექვსჯერ (1380-1403 წწ.), შაჰ აბასისა (1617 წ.), შახ ნადირისა (1736-1846 წწ.), და სხვადასხვა მტერთაგან.

აი, მიზეზებიც რატომაც ქართული ლიტერატურა შებრკოლებულია და არა სდგას თანასწორ ევროპის ლიტერატურისა.

ეს მიზეზები რომ არ ყოფილიყო, ქართველები იქნება სხვა ხალხს წინაც წაუსწრებდნენ. მაგრამ ამგვარს საშიშარსა და საზარელს საუკუნოებში, ის საცოდავები კიდევ პოულობდნენ დროს ლიტერატურისათვის და თუ ამ ბოლო დროს სხვებს ვერ მისდევდნენ ფეხდაფეხ ეს არ ამტკიცებს, რომ ქართველებს ლიტერატურა მოსპობოდესთ; ქართულ ლიტერატურა მხოლოდ შეჩერდა და ვერ მიდიოდა თამამის და მალის ნაბიჯით" [11, 1].

როგორც განხილული მასალა აჩვენებს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში ახალი ეტაპი იწყება, რაც დაკავშირებულია იმ ახალ გამოწვევებთან, რაც მიმდინარეობს ევროპაში, რუსეთში და მათ შორის საქართველოში. საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იქ მიმდინარე მოვლენების გავლენას განიცდის, თავის მხრივ, რუსეთი კი ცდილობს მიიღოს ის ახალი გამოწვევები რაც ევროპაში და ამით მეტნაკლებად შეარბილოს საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკა. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საქართველოში მთელი რიგი გარდაქმნები, რაც დაკავშირებული ქართული კულტურული ელიტის სახელთან, რომლებმაც სამოციანელებიდან მოყოლებული სრულიად ახალი მიმათულება შესძინეს ქართულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ კულტურულ რეალობას. ამ ეპოქის წარმომადგენელია რაფიელე რისთავი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ფუნდამენტი შექმნა და საკუთარი საზოგადოებრივი აქტივობით იმ პერიოდის საქართველოს თითქმის ყველა სფეროს შეეხო და საკუთარი კვალი დააჩნია.

როგორც განხილული მასალა მოწმობს, მისი მოღვაწეობა მრავალ მიმართულებას შეიცავს და დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეხება და ცდილობს მნიშვნელოვანი ფუნდამენტი შექმნას თავისუფლების მოპოვების გზაზე.

დამოწმენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N 172.
2. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N171.
3. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. NN170.
4. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N168.
5. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N133.
6. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N109.
7. კ. კეკლიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N372.
8. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. N546.
9. იგავ-არაკნი, გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუითგან" და გალექსილნი, თ. რაფ. ერისთავის მიერ, გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან, თფილისი, 1978.
10. იგავ-არაკნი კრილოვისა, გადმოთარგმნილნი და გადაკეთებულნი რუსულიდგან ქართულათ და გალექსილნი თავ. რაფიელ ერისთავისაგან, თფილისი, 1978.
11. რ. ერისთავი, (1880), რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს? გაზეთი დროება, N212.

Nato Songulashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,- Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Rafiel Eristavi and the Georgian Educational Sphere (Second Half of the 19th Century)

Summary

The role and factor of education has always occupied a special place in Georgia and has had a great influence on the formation and development of public consciousness arising from the challenges of the era in this century. At a time when attention was paid to the educational space and schools and higher education institutions were given not only the function of providing education, but also a national and state function, Georgia finds itself in a different reality from all this. The Russian system of government used education to the maximum for the Russification and transformation of the Georgian people. That is why the political and cultural elite that came to power after the restoration of independence was entrusted with a double responsible mission. Along with resolving issues of state importance, education reform became the starting principle of the country against the background of solving foreign and domestic problems.

Rafiel Eristavi is a representative of this period, who played an important role in the public life of Georgia through his work, including in the field of education.